

მოზარდებს შორის კრიმინალი: ა.შ.შ.-სა და საქართველოს შედარება,
გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

თორნიკე ჯანაშვილი, ანი მურადაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ჯანაშვილი

ანი მურადაშვილი

29/06/2017

აბსტრაქტი

დღესდღეობით უკვე არაერთმა ფაქტორმა განაპირობა მოზარდებს შორის კრიმინალის არსებობის აქტუალურობა. აღნიშნული საკითხი ფართოდ წამოიჭრა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის მოსაგვარებლად მრავალი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად პირველ რიგში დავასახელებთ მთავარი პრობლემები და ხარვეზები, მაგ. სისტემის არასრულყოფილება. ჩვენ, საკითხის განხილვის ფარგლებში, ავიღეთ ა.შ.შ.-ს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, სტატისტიკა, მონაცემები, რათა შეგვედარებინა და გარკვეული დასკვნები გამოკვეთა- რა შესაძლო ხერხებით არის შესაძლებელი საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესება და უფრო მეტად დახვეწა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ა.შ.შ-ს გააჩნია უზარმაზარი დამოუკიდებელი ისტორია ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ სწორედ ა.შ.შ. აგველო სამაგალითო ორიენტირად. ასევე ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგებით აღმოჩნდა რომ საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარის დაწევა უარყოფითად იქნა შეფასებული. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო და ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად „რადიკალური“ მეთოდებით ებრძოლოს ამ პრობლემას, მიუხედავად მისი ცალსახა საჭიროებისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოზარდებს შორის კრიმინალი, პრევენცია.

Abstract

Nowadays, many factors have led to the actuality of criminality among adolescents. This issue has been widely promoted not only in Georgia but in the whole world. Therefore, many state and non-governmental organizations work to resolve this issue.

To solve the above problem we first mentioned main problems and shortcomings, such as System imperfection. We took into consideration the issue of juvenile justice system, statistics, data in the US, and conveyed certain conclusions - what possible ways to improve juvenile justice in Georgia and to improve it. Despite the fact that the United States has a huge independent history on this issue, we considered it necessary in the US. Take an exemplary mark. We have also conducted a quantitative survey, which showed that lowering the minimum limit for juvenile justice in Georgia was negatively evaluated. And this proves that Georgia and our society are still not ready to use "radical" methods to combat this problem despite its unequivocal need.

Key search keywords: crime, prevention among teenagers.